საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

პროგრესი მედიის შესახებ ევროკავშირის რეკომენდაციის შესრულების გზაზე

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მიესალმება 28 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ ცვლილებებს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში.

ჩვენ დადებითად ვაფასებთ მიღებული ცვლილებების პაკეტს, რომელშიც ასახული და გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები.

მედიის შესახებ რეკომენდაცია აღმოჩნდა ერთადერთი, რაზეც ევროკომისიის შუალედური შეფასებით, საქართველოს საერთოდ არ ჰქონდა პროგრესი. მიღებული ცვლილებები კი მედიაგარემოს გაუმჯობესებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გვაახლოებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან.

მიგვაჩმნია, რომ ცვლილებების მომზადების პროცესი იყო კარგი მაგალითი საკანონმდებლო ორგანოსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის, რაც ასევე ევროკავშირის 12 რეკომენდაციის ნაწილია. ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრები, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში. მათ არაერთი სამუშო შეხვედრა გამართეს, სადაც შინაარსობრივად იყო განხილული ყველა მოსაზრება და რეკომენდაცია.

ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მზადყოფნას, რეკომენდაციების შესრულების პროცესში ვითანამშრომლოთ პარლამენტთან, რათა მიღწეულ იქნას საერთო მიზანი - საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭიბა.